



ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტსა და ფრანკფურტის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის რუსთაველის არქივის შორის

ქ. თბილისი

25 ივლისი, 2022

ერთის მხრივ, საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი (შემდგომში - ინსტიტუტი), წარმოდგენილი დირექტორის მანანა სანაძის სახით და მეორეს, მხრივ, ფრანკფურტის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის რუსთაველის არქივი (შემდგომში - არქივი), წარმოდგენილი კავკასიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მანანა თანდაშვილის სახით, ერთობლივად წოდებულნი როგორც „მხარეები“, ვხელმძღვანელობთ რა ორმხრივი დაინტერესებით, უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობით, ვაფორმებთ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგი პირობებით:

1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე მემორანდუმი არეგულირებს ურთიერთობებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
2. მხარეები აღიარებენ ქართული კულტურის უნიკალურობას, მის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ადგილს მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში;
3. მხარეები აცნობიერებენ ქართველოლოგიური კვლევებისა და ამ კვლევების შედეგების დაცვისა და პოპულარიზაციის მნიშვნელობას და აუცილებლობას;

Memorandum of Understanding Between Tamaz Beradze Institute of Georgian Studies of the University of Georgia and Rustaveli Archive of the Institute of Empirical Linguistics of the University of Frankfurt

C. Tbilisi

25 July, 2022

On the one hand, **Tamaz Beradze Institute of Georgian Studies of the University of Georgia** (hereinafter referred to as the Institute), represented by Director **Manana Sanadze**, and on the other hand, **the Rustaveli Archive of the Institute of Empirical Linguistics of the University of Frankfurt** (hereinafter referred to as the Archive) represented by the head of the Department of Caucasus Studies **Manana Tandashvili**, jointly referred to as the "Parties", we are guided by mutual interest, the need for close cooperation between a higher education and research institutions, we conclude the present Memorandum with the following conditions:

1. General Provisions

1. The present Memorandum regulates relations between the parties in accordance with the current legislation of Georgia;
2. The parties recognize the uniqueness of Georgian culture, its universal value, special importance and place in the world cultural heritage;
3. The Parties acknowledge the importance and necessity of protecting and popularizing the Georgian studies and the results of these researches;
4. The parties will cooperate in the purpose of implementation and support for joint educational and science-research projects;

4. მხარეები ითანამშრომლებენ ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებისა და ხელშეწყობის მიზნით;

5. მხარეები ისწრაფვიან როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოში ქართველოლოგიური კვლევების ხელშეწყობისა და განვითარებისაკენ;

6. მხარეები უზრუნველყოფენ კვლევითი შედეგების ინტეგრირებას ფართო საზოგადოებაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ;

7. მხარეები თანამშრომლობისას ეყრდნობიან ურთიერთპატივისცემის პრინციპებს.

2. თანამშრომლობის მიზნები

1. წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული თანამშრომლობის მიზნებია:

ა) მხარეების კომპეტენციათა ფარგლებში ქართველოლოგიური ერთობლივი კვლევებისათვის პირობების შექმნა და მათი შემდგომი წარმოება

აღნიშნული კვლევების შედეგების გასახმიანებლად - ერთობლივი სემინარების, კონფერენციების მოწყობა;

ბ) კვლევის საფუძველზე სასწავლო პროგრამებისა და რესურსების განვითარება დიგიტალური ქართველოლოგიის მიმართულებით;

გ) ქართველოლოგიური კვლევების განმახორციელებელი პერსონალის და

სტუდენტებისათვის სასწავლო პრაქტიკისა და სხვა სამეცნიერო რესურსების წვდომის უზრუნველყოფა შესაბამის მატერიალურ თუ ელექტრონულ

ბაზებზე/მასალებზე;

დ) საზოგადოებაში ქართველოლოგიური ცოდნის გავრცელება და ინფორმირება.

3. ურთიერთთანამშრომლობის საგანი

1. წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული თანამშრომლობის საგანია:

ა) ერთობლივი პროექტების და სამეცნიერო კვლევების განხორციელება დიგიტალურ ქართველოლოგიაში;

ბ) მხარეების მიერ სამეცნიერო-კვლევით გამოცემების მიწოდება ერთმანეთისთვის;

გ) ერთობლივი სამეცნიერო გამოფენების ორგანიზება;

დ) ერთობლივი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების მომზადება და განხორციელება დიგიტალურ ქართველოლოგიაში;

ე) შესაბამის სფეროებში სპეციალისტების გაცვლა სტაჟირების გავლის მიზნით.

4. სხვა დებულებანი

5. The parties strive to promote and develop Georgian Studies research both in Georgia and around the world;

6. The Parties shall ensure the integration of research findings into the wider community, both within and outside the country;

7. The parties rely on the principles of mutual respect in their cooperation.

2. Cooperation Purposes

1. The purposes of the cooperation specified by the present Memorandum are the following:

A) Creation the conditions for the joint Georgian Studies within the competences of the parties and their further production, organizing the joint workshops and conferences to announce the results of these research;

B) Development of research programs and resources based on the research in the field of digital Georgian Studies;

C) Provision access to training internships and other scientific resources for staff and students conducting Georgian Studies research on the relevant material or electronic databases / materials;

D) Spreading and informing of Georgian Studies knowledge in the public.

3. Inter Cooperation Subject

The subject of cooperation provided for this Memorandum is:

a) Implementation of joint projects and scientific research in digital Georgian Studies;

b) Sharing of scientific-research publications by the parties to each other;

c) Organizing joint scientific exhibitions;

d) Preparation and implementation of joint educational programs and projects in digital Georgian Studies;

e) Exchange the specialists in relevant fields for internships.

4. Other Provisions

1. The Memorandum does not terminate the validity of (existing) bilateral acts (Memorandum, Agreement, etc.) concluded before the entry into force of the

<p>1.წინამდებარე მემორანდუმი არ იწვევს მხარეებს შორის თანამშრომლობის მიზნით ამ მემორანდუმის ძალაში შესვლამდე დადებული (არსებული) ორმხრივი აქტების (მემორანდუმი, შეთანხმება და სხვა) მოქმედების შეწყვეტას.</p> <p>2.წინამდებარე მემორანდუმის დებულებებსა და მხარეებს შორის თანამშრომლობის მიზნით ამ მემორანდუმის ძალაში შესვლამდე დადებული (არსებული) ორმხრივი აქტების (მემორანდუმი, შეთანხმება, და სხვ.) დებულებებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში გამოიყენება წინამდებარე მემორანდუმის დებულებები.</p> <p>3.მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ. მემორანდუმის მოქმედების ვადის შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტის ინიციატორი მხარე 2 თვით ადრე წინასწარ წერილობით შეტყობინებას უზავნის მეორე მხარეს მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე.</p> <p>4.წინამდებარე მემორანდუმში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ფორმდება წერილობითი ფორმით და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.</p> <p>5.მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ალის მქონე ორ ეგზემპლარად, თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.</p>	<p>present Memorandum of Understanding between the Parties.</p> <p>2. The provisions of the present Memorandum shall apply in the event of any discrepancies between the provisions of the (existing) bilateral acts (Memorandum, Agreement, etc.) concluded before the entry into force of the present Memorandum in the purpose of cooperation between the provisions of the Memorandum and the Parties.</p> <p>3. The Memorandum is valid from the date of its signing and is valid termless. In the case of termination of the Memorandum, the initiating party shall notify the other party in advance for 2 months, in written form about termination of the Memorandum.</p> <p>4. Any amendments or supplements to the present Memorandum shall be executed in written manner and shall form an integral part of the Memorandum.</p> <p>5. The present Memorandum is compiled in two equal force copies, each copy for both parties.</p>
---	---

მხარეთა რეკვიზიტები

<p>საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი მის: საქართველო, თბილისი, კოსტავას 77</p> <p>Tamaz Beradze Institute of Georgian Studies of the University of Georgia Address: 77 Kostava, Georgia, Tbilisi</p> <p>დირექტორი/Director</p>  <p>მანანა სანაძე/Manana Sanadze</p>	<p>ფრანკფურტის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის რუსთაველის არქივი მის: Senckenberganlage 31, 60325 Frankfurt am Main</p> <p>Rustaveli Archive of the Institute of Empirical Linguistics of the University of Frankfurt Address: Senckenberganlage 31, 60325 Frankfurt am Main</p> <p>კავკასიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი/ Head of the Department of Caucasus Studies</p>  <p>მანანა თანდაშვილი/Manana Tandashvili</p>
--	--